საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება

N 6/02-06
09/01/2020

6-02-06-4-202001091205

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის გიორგი ჯორჯაძის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მივლინებისა და შრომითი ხელშეკრულების პირობების შეცვლის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსის" მე-12 მუხლის პირველი, მე-2, მე-3 ნაწილების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის ,,ნ'' და ,,პ" ქვეპუნქტების, "სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის" თანამშრომელთა საზღვარგარეთ მივლინების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" თსუ რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2015 წლის 19 მარტის №12/04 ერთობლივი ბრძანების მე-2 მუხლის მე-13 და მე-14 პუნქტების, თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის გიორგი ჯორჯაძის 2020 წლის 8 იანვრის № 81/10-02 განცხადების (ინსტიტუტის დირექტორის, მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ნინო ფარცვანიას თანხმობით) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაკმაყოფილდეს, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის გიორგი ჯორჯაძის განცხადება და მივლინებულ იქნეს, 2020 წლის 8 იანვრიდან 2020 წლის 8 მარტამდე ქალაქ პოტსდამში, (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) მაქს პლანკის გრავიტაციული ფიზიკაში ალბერტ აინშტაინის ინსტიტუტში ერთობლივი სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად, მივლინების ხარჯების ანაზღაურების გარეშე;

2. შეუჩერდეს შრომის ანაზღაურება 2020 წლის 22 თებერვლიდან 2020 წლის 8 მარტამდე სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მთავარ მეცნიერ თანამშრომელს გიორგი ჯორჯაძეს;
3. დაევალოს გიორგი ჯორჯაძეს წარუდგინოს მოხსენებითი ბარათი და მივლინების ანგარიში უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ინსტიტუტს და საფინანსო დეპარტამენტს მივლინებიდან დაბრუნებისთანავე;
4. წინამდებარე ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცეს დაინტერესებულ პირს და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (საფინანსო დეპარტამენტი, პერსონალის მართვის დეპარტამენტი, ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი, შიდა აუდიტის სამსახური);
5. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი